# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა. — პარასკევი, 11 აგვისტო 1900 წ. № 1207

**გაზეთის ფასი:** წელიწადში — 6 მან., თვეში — 75 კაპ., ცალკე ნომერი — 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე — 10 კ. მეოთხეზე — 5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის [illegible]ვრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27. — ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. — პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе".**

**ტელეფონი № 372.**

## რედაქციისაგან

გავახსენებთ ჟურნალ „მოამბის" და გაზეთ „ცნობის ფურცლი"-ს ხელის მომწერთ, რომ დარჩენილი ხვედრი გადასახადისა **უეჭველად პირველ სექტემბრამდე უნდა წარმოადგინონ;** წინააღმდეგ შემთხვევაში **სექტემბრიდან ჟურნალის და გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.**

---

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**9 აგვისტო**

**ლონდონი.** „შავი ბაირაღების" ბელადი ლანი მიდის პეკინისაკენ 3,500 კაცით, გზაზე ყველგან მუქარით სავსე აფიშებია გაკრული. ჯარის-კაცები და მკვიდრნი მუსრს ავლებენ მისიების ქონებას.

**შანჰაი.** გაზეთების ცნობებით, უცხოელ ჯარების პეკინის გარე ნაწილში შესვლის შემდეგ მოხდა სასტიკი ბრძოლა. შეერთებულმა ჯარებმა გაანგრიეს ქალაქის „წმიდა ნაწილის" კედელი და აიღეს იგი. 4,000 ჩინელმა ქრისტიანმა დიდი სამსახური გაუწია უცხოელებს ქალაქის კარგად ცოდნით. ეხლა მოკავშირეთა დროშები ამართული არიან იმპერატორის სასახლეზე. ქუჩებზე ბრძოლა არის; ჩინელები ჯერ კიდევ სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ მტერს.

**ბერლინი.** გერმანელი ადმირალი იტყობინება, რომ ჩინელი ჯარები, რომელნიც იმპერატორის კანალზედ არიან, ჯერ კიდევ ემუქრებიან ანცჟუნს.

---

### სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ გენერალ-ლეიტენანტი გროდეკოვი სწერს პირველ აგვისტოს ხაბაროვსკიდან სამხედრო მინისტრს: «ორმოცდა-ათი წლის წინედ, პირველ აგვისტოს, ნეველსკოიმ აღმართა რუსეთის დროშა ამურის შესართავში, მარცხენა ნაპირზე და ამით სათავე დაუდო ჩვენს მფლობელობას ამ დიდ მდინარეზედ. ეხლა, სასტიკი ბრძოლების შემდეგ, ჩვენ დავიპყარით ამურის მარჯვენა ნაპირიც და ამით განვამტკიცეთ მთელი ამურის რუსეთთან შეერთების დიდი საქმე: შევქმენით იგი შინაგან მდინარედ და არა მოსაზღვრედ, რითაც შესაძლებელი შეიქმნა თავისუფალი და უშიშარი მიმოსვლა ამ უვრცელესი მხარეს არტერიაზედ. ვდღესასწაულობთ რა ნახევარი საუკუნის იუბილეის ამ ღირს შესანიშნავ მოვლენისას, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუდო ჩვენს ამურის მფლობელობას, ვთხოვ თქვენს აღმატებულებას მიართვათ უქვეშევრდომილესი მილოცვა ხელმწიფე იმპერატორს აქაურ მცხოვრებთაგან და ჯარებისაგან. ბედნიერი ვარ მით, რომ შემიძლია დავამოწმოთ, რომ განსაცდელის დღეებში როგორც ჯარი, ისე მცხოვრებნიც გამოჩნდნენ ღირსნი დიდებული რუსეთის სახელისა.»

მისმა უდიდებულესობამ კეთილ ინება და დაწერა ამ დეპეშაზე შემდეგი: «გულითადად ვმადლობ ჯარებს მათ მამაცურ მოქმედებისათვის.»

∝ ბერლინიდან დეპეშით იუწყებიან, რომ, იქაურ ჩინეთის ელჩის სიტყვით, ლიხუნჩანგი ტიანცზინში წასულა, რათა მოლაპარაკება გამართოს პეკინიდან იქ მისულ უცხოეთის ელჩებთან.

∝ ლონდონიდან იუწყებიან, რომ ლიხუნჩანგმა მოსთხოვა ჩინეთის დედოფალს, რათა, იმის გარდა, უცხოელ ელჩებთან მოსალაპარაკებლად მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ დაინიშნოს ვინმე ერთი უმაღლესი მოხელეთაგანი ჩინეთის მთავრობისა.

იქიდანვე დეპეშით იტყობინებიან, რომ ჩინელებმა ყველაფერი მოამზადეს ტეისიდან გამოყვანილ კანალის დასანგრევად და იმ ადგილებზე წყლის მოსაშვებად, სადაც შეერთებულ ჯარებს უნდა გაევლოთ. რომ შეერთებულ ჯარებს 48 საათით დაეგვიანა, პეკინზე გალაშქრება მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მოხდებოდა.

∝ უცხოელების პირველ გალაშქრებაზე, სეიმურის მხედარ მთავრობით, ეხლა შემდეგ დაწვრილებით ცნობებს იტყობინებიან. რადგანაც ჩრდილოეთ ჩინეთში არეულობა თანდათან ძლიერდებოდა, უცხოეთის სახელმწიფოების ესკადრის მასალები ყველაფრისათვის მზად იყვნენ და არვის მათგანს არ გაჰკვირვებია, როცა მიიღეს ბრძანება, რომ დაუყოვნებლივ გადაესხათ დესანტი ნაპირზე და პეკინისაკენ გაეგზავნათ. ბრძანების მიღებისთანავე შექმნეს სადესანტო რაზმი, რომელშიაც რუსის ჯარის კაცებიც ერთ კაპიტან ჩაგინის უფროსობით და სეიმურის სარდლობით გადასხეს ნაპირზე. თავდა-პირველად რაზმის მოძრაობა თავისუფლად სწარმოებდა, თუმცა ადგილობრივ მცხოვრებლებს მღელვარება ეტყობოდათ. მაგრამ მალე გამოჩნდნენ ჩინელი ჯარები და «მოკრივეთა» ბრბოები, მოძრაობა თანდათან გაძნელდა და ბოლოს იგი სრულებით შეუძლებელი შეიქმნა. თვითონ რაზმის მდგომარეობაც მეტად საშიში შეიქმნა, რადგანაც მას ყოველ მხრივ მასზე ძლიერი მტრის ჯარები ერტყა. მიუხედავად ამისა ევროპიელები მეტად მხნედ იყვნენ და დიდის მამაცობით ებრძოდნენ მაზედ იერიშით მოსულ მტერს. მაგრამ მარტო მხნეობით რას გააწყობდნენ, როცა მათ სასროლი მასალა თანდათან ელეოდათ. რაზმის ხსნისათვის აუცილებელი საჭირო იყო მაშველი ჯარი, და მართლაც დროზედ მოესწრო მათ. სეიმურის რაზმმა ჯერ ზარბაზნების ხმა გაიგონა, ჩინელ ჯარებს არეულობა შეეტყო, და ბოლოს გამოჩნდნენ მაშველ რაზმების კოლონნებიც.

---

## ახალი ამბავი

◆ 1901 წლის პირველ იანვრიდან კავკასიის ყველა გუბერნიებში შემოღებულ იქმნება **საფაბრიკო ინსპექციის კანონი.**

◆ რადგანაც მთელ კავკასიაში ერთობ მცირეა ფსიხიატრიულ საავადმყოფოთა რიცხვი, აღძრულია კითხვა, რათა დაარსებულ იქმნას **სულით ავადმყოფთათვის** რამდენიმე კოლონია.

◆ 1901 წლის პირველ იანვრიდან სახალხო განათლების სამინისტროსთან მოქმედებას დაიწყებს პირველ დაწყებითი სკოლების **მასწავლებელთა ემერიტალური კასსა,** რომლის სავალდებულო წევრნი იქმნებიან ყველა იმ სკოლების მასწავლებელნი, რომელთაც ხაზინა ინახავს ან ეხმარება.

◆ ოთხშაბათს, 2 აგვისტოს, საქართველოს ეგზარხოსს ყოვლად-უსამღვდელოესს ფლაბიანეს ბედნიერება ჰქონდა წარდგენოდა მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს.

◆ ამ მოკლე ხანში კავკასიის რკინის გზათა მმართველობა წარუდგენს გზათა სამინისტროს პეტერბურგში **ნავთის მილის** განგრძობის პროექტს.

◆ თელავის მაზრის უფროსის შუამდგომლობის მიხედვით, გუბერნიის მთავრობამ თელავის მაზრის 33 სოფლის საზოგადოებიდან შექმნა 13, რათა რიცხვ-მრავალ სოფლის საზოგადოებას შეეძლოს მეტი ხარჯის გაღება და სოფლის თანამდებობებზე უფრო შესაფერი პირების ამორჩევა.

◆ ფინანსთა მინისტრის დადგენილებით, მიმდინარე წლის პირველ სექტემბრიდან სახელმწიფო ბანკისა და მის განყოფილებათა საშუალებით ფულების გაგზავნის ტაქსა შეიცვლება. ტელეგრაფით ფულის გაგზავნისათვის, გარდა დეპეშის ფასისა, დაწესებულია განსაკუთრებული ტაქსა. 25 მანეთზე ნაკლებს სახელმწიფო ბანკი არ მიიღებს გასაგზავნად.

◆ როგორც ვიცით, ტფილისის ქალაქის თავმა საჩივარი გაგზავნა 1895-ში სენატში ტფილისის გუბერნიის სამოქალაქო სამმართველოს დადგენილების გამო, რომლის ძალითაც პირველ-დაწყებითი სამოქალაქო სკოლები ცნობილ იქმნენ არა კერძო სკოლებად, არამედ საზოგადოდ. უმართებულესმა სენატმა უსაფუძვლოდ სცნო ეს საჩივარი და უყურადღებოდ დასტოვა იგი.

◆ გზათა სამინისტრომ საბოლოოდ დაადგინა შემოიღოს განათლების ცენზი სადგურის უფროსის თანაშემწისა და კასსირებისათვის.

◆ სოფ. ბუმბუას ხევიდან (სენაკის მაზრა) იწერებიან, რომ ად-

გილობრივმა მცხოვრებლებმა დაადგინეს ხუთშაბათობით ბაზრობა იქონიონ.

✦ კავკასიის სააბრეშუმო სადგურზე ფუტკარს გაჩენია ხგადმყოფობა.

✦ რუსეთის მეფუტკრეთა საზოგადოებას განზრახვა აქვს შეუდგეს მოძრავ სასწავლო სკების მოწყობას ხალხში მეფუტკრეობის შესახებ რაციონალურ ცნობების გასავრცელებლად.

✦ რუსეთის ფრინველთა მომშენებელ საზოგადოებას მიუმართავს მიწად-მოქმედების მინისტრისათვის შუამდგომლობით, რათა დაარსებულ იქმნას კარგი ჯიშის ფრინველის მომშენებელი სადგურები იმ ადგილებში, სადაც კვერცხით ვაჭრობა გავრცელებულია.

✦ საშუალო სკოლების უფროსებს წინადადება მისცა სახალხო განათლების სამინისტრომ, რათა მან ეცადოს რაც შეიძლება კარგად გააცნოს ხსენებულ სკოლების მოსწავლეთ 1899 წლის 14 ივლისის კანონი შემნახველ კასსების შესახებ. ამასთანავე წინადადება მიეცა მასწავლებლებსაც, რათა მათ საკუთარის მაგალითით და შეგონებით შეაჩვიონ მოსწავლენი ხსენებულ კასებით სარგებლობას და მათ პატარა საშუალებათა შენახვას. ამით მოსწავლეებში გავრცელდება გონიერი მომჭირნეობაო.

✦ სამშაბათს, 8 აგვისტოს, მღვდლის ქვრივის ეფემია ტერ-ფარსეგოვის სახლში, რომელიც „გორ-შოჩნი“ ვიწრო ქუჩაზე იმყოფება, მის შინ არ ყოფნის დროს ქურდებს გამოუჭრიათ მეორე სართულის ჭერი და გაუტანიათ 400 მან. ფულად და სხვა-და-სხვა ვერცხლის ნივთები; გაუტანიათ აგრეთვე მრავალი ფარჩეულობა; ქვრივი ტერ-ფარსეგოვისა მისულა თუ არა სახლში, უნახავს, რომ სახლის ჭერი გამოჭრილი იყო და ფული და ნივთებიც აღარსად სჩანდა; გადასულა იქვე მომიჯნავე მეზობლის სახლში, რათა შეეტყობინებინა მათთვის ეს ამბავი და... აკი იქ შეუნიშნავს რამდენიმე თავისი ნივთი, რომელზედაც პატრონის ვინაობაც ეწერა. ქვრივმა ტერ-ფარსეგოვისამ არაფერი არ უთხრა მათ და ეს ამბავი გამოაცხადა პოლიციის მე-8 ნაწილში; პოლიციის მოხელე მიხაილოვი დაუყოვნებლივ შეუდგა საქმის გამოძიებას და ქურდები საეჭვო მეზობლისას აღმოაჩინა, პირველი—ტფილისის მცხოვრები ანნა ნაბადმისა (2—3 წლის ყმაწვილის დედა, რომელიც პოლიციაში ყოფნის დროს თან ახლდა), ხოლო მეორე—ყაზახის მაზრის მცხოვრები ბარბარე პაშიკოვისა. ორთავენი უკვე გამოტყდნენ ქურდობაში. დამნაშავენი გადასცეს ტფილისის მომრიგებელ-მოსამართლის მესამე განყოფილების გამომძიებელს.

## გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 8 აგვისტოს**

| | მყიდველობა. | გამყიდველობა | გარიგება. |
|---|---|---|---|
| 4% სახელმწიფო | მ | ი ნ ი | თ ი |
| რენტა. . . . | — | — | $96^1/_2$ |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | $99^3/_4$ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | $97^3/_4$ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | 315 | — |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | 269 | — | — |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | 207 | — |
| $3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | — | 85 |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | 98 | — |
| $4^1/_2$% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | $86^1/_2$ | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | $101^1/_2$ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | $98^1/_2$ | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | 98 | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

**დრ. რედ. ალ. ჯაბადარი**

**ნ ი ხ რ ი**

ხორცი ძროხისა . 1 გ. $8^1/_2$ კ.
სუკი . . . . . . » — 15 კ.
» ცხვრისა . . . » — $8^1/_2$ კ.
» ღორისა . . . 1 — 8 კ.
» კამეჩისა » » » — 8 კ.
» ღორის ბარკალი სალორეთი . 1 » — 10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იისფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

პური ფურნისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » $3^1/_2$ »
» » III » » » 3 »
იგივე თონისა I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » $3^1/_2$ »
ლავაში ჯკ. მამ. I » » » 6 »
» » II » » » 4 »

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: ხორბალი საუკ. | ფუთი. | მ. | კ. | კოგზალზე, მ. | კ., |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 1 | 30 | [illegible] | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | 1 | 1—5 | — | |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 80 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 30 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 65 | — | — |
| ხახვი . . . . . . | 1 | — | 10 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 25 | — | — |
| ბზე. . . . . . . | 1 | — | 23 | — | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მუსაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 79 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი წითაძოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეკუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულბეგიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

**ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1 ტფილისიდან** ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2 ბათუმიდან** ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან** ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4 ბათუმიდან** ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5 ბაქოდან** ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Августа 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განჯის დიდი ქუჩა, № 27.